იჯარის ხელშეკრულება

ქ. თბილისი 01.09.2023

ერთის მხრივ, შპს „კაპიტალ ინვესტ გრუპ“ (ს/კ 405206799) შემდგომში „მეიჯარე“, წარმოდგენილი მისი დირექტორის ლევან ხეცურიანის მიერ და მეორეს მხრივ, შპს „ქომაგი“ (ს/კ 418469348) შემდგომში „მოიჯარე“, წარმოდგენილი მისი დირექტორის ნანა ალავერდაშვილის (პ/ნ 59001053383) სახით, (მობ:591331333) ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლის 1.ხელშეკრულების საგანი

1.1. „მეიჯარე“ გადასცემს „მოიჯარე“-ს დროებით სარგებლობაში წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლში აღწერილ უძრავ ნივთს (შემდგომში “ქონება ან ფართი“) და აძლევს საშუალებას ისარგებლოს უძრავი ქონებით საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის განმავლობაში.

1.2. მოიჯარე, თავის მხრივ, ვალდებულია გადაუხადოს მეიჯარეს წინამდებარე ხელშეკრულებით შეთანხმებული საიჯარო თანხა და განახორციელოს მხოლოდ ის საქმიანობა, რომელიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას.

მუხლის 2. იჯარის ობიექტი

2.1 წინამდებარე ხელშეკრულებით „მოიჯარის“ დროებით სარგებლობაში გადადის 60 კვ.მ. კომერციული ფართი პირველ სართულზე, მისამართზე: ქ. თბილისი, ასათიანისა და დელისის ქუჩების გადაკვეთაზე (მიხეილ ასათიანის ქ. N5), მიწის ს/კ 01.10.15.007.119.

მუხლის 3. ხელშეკრულების ვადა

3.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა არის 12 თვე, შესაბამისად ხელშეკრულება დასრულდება 2024 წლის 01 სექტემბერს. თუ ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლამდე სამი თვით ადრე მხარეები არ გამოხატავენ ხელშეკრულების შეწყვეტის სურვილს, ხელშეკრულება ავტომატურად გაგრძელდება უვადოდ.

მუხლის 4. ხელშეკრულების ძალაში შესვლა

4.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან, ხოლო მასში გათვალისწინებული იჯარის უფლება და მისგან გამომდინარე მოიჯარის ვალდებულებები წარმოიშობა მხარეთა მიერ შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების მომენტიდან.

4.2 ხელშეკრულება ძალაშია 3.1.პუნქტში მითითებული ვადის გასვლამდე.

მუხლი 5. საიჯარო თანხის ოდენობა, გადახდის პერიოდულობა და ფორმა

5.1.წინამდებარე ხელშეკრულებით საიჯარო თანხა განისაზღვრება 4605.61 (ოთხიათას ექვსას ხუთი ლარი და 61 თეთრი) ლარის ოდენობით (დღგ-ს ჩათვლით). ზემოაღნიშნულ თანხაში შესულია დღგ-ს გადასახადი, კომუნალურების გარდა.

5.2. გადახდა ხორციელდება უნაღდო ანგარიშწოდებით, წინსწრებით, ყოველი მიმდინარე თვისათვის არაუგვიანეს 30 რიცხვისა (ოქტომბრის - 30 ოქტომბრამდე, ნოემბრის - 30 ნოემბრამდე და ა.შ.). წინააღმდეგ შემთხვევაში „მეიჯარეს“ უფლება ეძლევა ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

5.3. მხარეების მიერ წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერისთანავე, მოიჯარე მეიჯარეს უხდის პირველი და ბოლო თვისათვის გათვალისწინებულ საიჯარო თანხას. საიჯარო პერიოდში, მხარეების მიერ ურთიერთშეთანხმებით გაზრდილი ან/და შემცირებული ყოველთვიური საიჯარო თანხა გავლენას არ ახდენს ბოლო თვის (ანაზღაურებულ) თანხაზე.

მუხლი 6. ქონების ხარისხი

6.1. მხარეები აცხადებენ, რომ ქონება უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლოა, რასაც ისინი ადასტურებენ 4.1 პუნქტში მითითებული მიღება-ჩაბარების აქტით.

ა)"უფლებრივად უნაკლო" ქონების ქვეშ მხარეები გულისხმობენ იმას, რომ მესამე პირს არ შეუძლია წაუყენოს მოთხოვნები მოიჯარეს დროებით სარგებლობაში გადაცემული, ხელშეკრულების 2.1 პუნქტით გათვალისწინებული ქონების მიმართ.

ბ) "ნივთობრივად უნაკლო „ქონების ქვეშ მხარეები გულისხმობენ იმას, რომ იგი ვარგისია ჩვეულებრივი სარგებლობისათვის.

გ) მოიჯარის მიერ შემოწმებული იქნა ყველა ის ტექნიკური საშუალებები (გათბობის, გაგრილების, სავენტილაციო მოწყობილებები, წყლის, გაზისა და საკანალიზაციო სისტემები) რომელიც დამონტაჟებულია საიჯარო ფართობში ან/და ემსახურება მის გამართულ მოხმარებას და ადასტურებს, რომ აღნიშნული საშულებები არის გამართულ და მუშა მდგომარეობაში.

6.2. თუ ქონებას აღმოაჩნდება ნაკლი ან წინასწარ გაუთვალისწინებული საფრთხისაგან ქონების დასაცავად საჭირო იქნება აუცილებელი ზომების მიღება ან მესამე პირი განაცხადებს თავის უფლებებს მასზე, მაშინ მოიჯარემ ამის შესახებ დაუყოლებრივ უნდა აცნობოს მეიჯარეს.

მუხლი 7. ქონების გადაკეთება ან არსებითი შეცვლა:

7.1. „მოიჯარის" „მეიჯარესთან" წინასწარი წერილობითი შეთანხმების გარეშე არ აქვს უფლება მე-10 მუხლით განსაზღვრული წესის გარდა გადააკეთოს ქონება ან არსებითად შეცვალოს იგი.

7.2. წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერამდე მოიჯარის მხრიდან ქონების გადაკეთების ან არსებითი შეცვლის სურვილის გამოხატვის შემთხვევაში, აღნიშნულს მხარეები აფიქსირებენ ქონების გადაცემის მიღება-ჩაბარების აქტში.

7.3. „მოიჯარეს" უფლება აქვს თავისი ხარჯებით, მეიჯარესთან შეთანხმებით და შეხედულებისამებრ, შეათანხმოს მერიის სამსახურებთან და დამონტაჟოს/განათავსოს საიჯარო ფართზე სარეკლამო მოწყობილობები.

მუხლი 8.ქონების მესამე პირისათვის გადაცემის დაუშვებლობა:

8.1. მოიჯარეს არა აქვს უფლება მეიჯარის წერილობითი თანხმობის გარეშე იჯარის ვადის განმავლობაში ქონება დროებით სარგებლობაში გადასცენ მესამე პირს.

მუხლი 9. ქონების მოვლა:

9.1. მოიჯარე ვალდებულია იზრუნოს ქონების სათანადოდ მოვლისათვის;

9.2.სათანადოთ მოვლაში იგულისხმება:

ა)ქონების სისტემატიური დასუფთავება;

ბ)სანტექნიკის ელექტროგაყვანილობის, ვენტელაცია, გათბობის და ნებისმიერი სხვა სისტემების (რომელითაც აღჭურვილი იქნება ქონება) გამართულობის უზრუნველყოფა და სათანადო დონეზე ექსპლუატაცია.

9.3. მოიჯარე პასუხს არ აგებს ქონების ისეთ ცვლილებებისა და გაუარესებისათვის რაც წარმოიშვა მისი სათანადოდ გამოყენების შედეგად.

მუხლი 10 ქონების რემონტი.

10.1. მოიჯარე, ქირავნობის პერიოდში, ქონებაზე განსახორციელებელ ნებისმიერ სარემონტო სამუშაოების ჩატარებამდე, ვალდებულია აღნიშნული წინასწარ წერილობით შეათანხმოს მეიჯარესთან.

10.2 დადგენილი წესით მოიჯარის მიერ ქირავნობის პერიოდში ქონებაზე განხორციებული სარემონტო სამუშაობის შედეგად არსებული ნებისმიერი გაუმჯობესება, რომელიც არსებითი შემადგენელი ნაწილის სახით შეემატება საიჯარო ქონებას, წარმოადგენს მეიჯარის საკუთრებას.

10.3 საიჯარო ვადის ამოწურვის შემდეგ, მეიჯარის მოთხოვნის შემთხვევაში საიჯარო ფართობი მოიჯარის მიერ აღდგენილი უნდა იქნას მის პირვანდელ მდგომარეობაში, ბუნებრივი ცვეთის გათვალისწინებით.
10.4. მოიჯარე უფლებამოსილია საიჯარო ურთიერთობის შეწყვეტის შემდეგ წაიღოს იჯარის ობიექტზე შემატებული ყველა ის მოძრავი ნივთი, რომელთა შეძენა და მონტაჟი განხორციელდა მოიჯარის მიერ და რომელთა მოხსნაც/განცალკევებაც შესაძლებელია საიჯარო ქონებისა და ამ ნივთების დაზიანების გარეშე.

მუხლი11. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები:

11.1. მეიჯარეს უფლება აქვს:.
ა) პერიოდულად შეამოწმოს გაქირავებული ქონების მდგომარეობა და მოიჯარის მიერ მისი სარგებლობის მიზნობრიობა.
ბ) მოითხოვოს მოიჯარისაგან იჯარის გადახდის ვალდებულების სრულყოფილად შესრულება;
გ) მოიჯარის მიერ ქონების არამიზნობრივად გამოყენების შემთხვევაში ან/და იმგვარი გამოყენების შემთხვევაში, რომელიც ზიანს აყენებს მის ქონებას, მოითხოვოს მისი დაუყოვნებლივი შეწყვეტა და წინამდებარე ხელშეკრულების ცალმხრივად მოშლა;
დ) წინამდებარე ხელშეკრულების პირობების მოიჯარის მიერ უხეშად დარღვევის შემთხვევაში, ასევე სხვა პატივსადები მიზეზების ვალდებულებების ბრალეულად მნიშვნელოვნად დარღვევისას, ასევე თუ მოიჯარემ მეიჯარის მიმართ ჩაიდინა ისეთი მართლსაწინააღმდეგო ან სხვა მოქმედება, რომელიც შეუძლებელს ხდის მათ შორის ურთიერთობის შემდგომ გაგრძელებას მოითხოვოს ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტა;
ე) მოიჯარის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების ცალმხრივად ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, მეიჯარე კომპენსაციის სახით მოსთხოვს მას 2 (ორი) თვის საიჯარო თანხას.
ვ) მოიჯარის მიერ ქირის გადაუხდელობის ან საიჯარო ქონების მნიშნელოვნად გაუარესების შემთხვევაში ან წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი სხვა ვალდებულებებიდან გამომდინარე მოთხოვნის უზრუნველსაყოფად, მეიჯარეს წარმოეშვება გირავნობის უფლება ნაქირავებ ქონებაში მოიჯარის მიერ შეტანილ/განთავსებულ ნივთებზე.
ზ) იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში მოიჯარე არ გაანთავისუფლებს ნაქირავებ ქონებას, მეიჯარე უფლებამოსილია ცალმხრივად გახსნას გაქირავებული ქონება და გამოიყენოს ამ მუხლით გათვალისწინებული გირავნობის უფლება იქ არსებულ ნივთებზე, ან სხვაგვარად დალუქოს ქონება მანამ სანამ მოიჯარე სრულიად არ შეასრულებს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს.

11.2 მეიჯარე ვალდებულია
ა) დროულად გადასცეს მოიჯარეს 2.1 უნქტში გათვალისწინებული ქონება.
ბ) ხელი შეუწყოს მოიჯარეს ნაქირავები ფართის/ქონების მიზნობრივ გამოყენებაში.

11.3 მოიჯარეს უფლება აქვს:
ა) წინამდებარე ხელშეკრულების მხარეთა მიერ ხელმოწერისა და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ მოსთხოვოს საიჯარო ქონების დროულად გადაცემა.
ბ) საიჯარო ქონების მისგან დამოუკიდებელი მიზეზებით სამეწარმეო საქმიანობისათვის გამოუყენებლობის შემთხვევაში მიმართოს დახმარებისათვის მეიჯარეს.
გ) მოითხოვოს წინამდებარე ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტა, თუ აღნიშნულზე იგი წინასწარ, 2 (ორი) თვით ადრე წერილობით გააფრთხილებს მეიჯარეს და გადაიხდის 11.1 „ე“-ქვეპუნქტით გათვალისწინებულ კომპენსაციის თანხას.

11.4 მოიჯარე ვალდებულია:
ა) საიჯარო ფართი გამოიყენოს მხოლოდ საკუთარი კანონშესაბამისი სამეწარმეო საქმიანობის წარმართვის მიზნით.
ბ) არ დაუშვას დაქირავებული ქონების დანიშნულების, ფუნქციის, იერსახის მნიშვნელოვანი ცვლილება ან ნებისმიერი სახით შეცვლა, თუ ეს არ იქნება წინასწარ შეთანხმებული მეიჯარესთან.
გ) დროულად, 5-ე მუხლის პირობების დაცვით გადაიხადოს ქირა.

დ) მკაცრად დაიცვას ხანძარსაწინააღმდეგო, სანიტარულ-ჰიგიენური, ტექნიკური და სხვა ქონებისა და შენობის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული წესები, შენობისა და ქონების ინვენტარი, აგრეთვე საინჟინრო კომუნიკაციებისა და ექსპლუატაციის წესები.
ე) მიიღოს ყველა აუცილებელი ზომა საიჯარო ქონების მოსალოდნელი დაზიანების საფრთხისაგან თავის დასაცავად.
ვ) უზრუნველყოს საიჯარო ქონებაზე შესასვლელი კარებების გასაღების შეცვლის შემთხვევაში, თითო ასლის მეიჯარის ან მისი წარმომადგენლისათვის გადაცემა.
ზ) ითმინოს ყველა სახის ზემოქმედება, რომელიც აუცილებელია საიჯარო ქონების ან/და მის მიმდებარე ტერიტორიის შესანახად, სათანადოდ მოსავლელად ან/და მისი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.
თ) არ დაუშვას დაქირავებული ფართის გამოყენება მოქმედი კანონმდებლობის მიერ აკრძალული საქმიანობისათვის ან ისეთი საქმიანობისათვის რომელიც საჭიროებს უფლებამოსილი ორგანოების ნებართვას, ლიცენზიას და სხვა, ასეთი ნებართვის მიღებამდე.
ი) მოიჯარე ვალდებულია ხელშეკრულების ძალაში შესვლის მომენტიდან უზრუნველყოს კომუნალური მომსახურებების მიმწოდებელ დაწესებულებებში (გაზი, დენი, წყალი, დასუფთავება, ტელე/ინტერნეტ/სატელეფონო კომპანიებში) წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისი რეგისტრაცია. დროულად უზრუნველყოს კომუნალური და სხვა აუცილებელი გადასახადების გადახდა რომლებიც დაკავშირებულია ქონების ექსპლუატაციასთან (მოხმარებული ელექტროენერგია, ბუნებრივი აირი, წყალი,დასუფთავება და სხვა). მოიჯარე პასუხისმგებელია, საიჯარო პერიოდში საიჯარო ქონების მრიცხველების დაზიანებასა ან სხვაგვარი მანიპულაციებით დაკისრებულ საჯარიმო სანქციებსა და /ან სხვაგვარად დაგროვებულ/დაკისრებულ ვალდებულებებზე.

მუხლი 12.მხარეთა პასუხისმგებლობა;

12.1. მოიჯარე პასუხს აგებს ქონების დაზიანებისა თუ გაუარესებისათვის რომლებიც წარმოიშვა წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების დროს, თუ ის არ დაამტკიცებს რომ ისინი წარმოიშვა მისი ბრალეულობის გარეშე.
12.2 მხარეები წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში პასუხს აგებენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
12.3. ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული გაქირავებული ქონების შემთხვევით განადგურების ან სხვაგვარად დაზიანების რისკი ეკისრება მოიჯარეს.

მუხლი 13. ქონების დაბრუნების ვალდებულება.

13.4. მოიჯარე ვალდებულია დაუბრუნოს მეიჯარეს დაქირავებული ქონება წინამდებარე ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ ან მისი ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში.
13.2. ამ მუხლით გათვალისწინებული საიჯარო ქონების მოიჯარის მიერ მეიჯარისათვის უკან დაბრუნებაზე მხარეებმა უნდა შეადგინონ შესაბამისი მიღება- ჩაბარების აქტი.

მუხლი 14. ფორს-მაჟორი.

14.1. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მხარეთა პასუხისმგებლობა არ დგება დაუძლეველი ძალის მოქმედების შემთხვევაში. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობიდან ვალდებულების სრული და ნაწილობრივი შეუსრულებლობისათვის დაუძლეველი მოქმედების შემთხვევაში.
14.2.“დაუძლეველი ძალის“ ქვეშ მხარეები გულისხმობენ გარემოების (სტიქიური უბედურება, ეპიდემია, საომარი მდგომარეობა, საკანონმდებლო ცვლილებები და ა.შ.), რომლებიც არ არსებობდა წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმების დროს და რომელთა დადგომა და ზემოქმედება მხარეებს არ შეეძლოთ თავიდან აეცილებინათ და გადაელახათ.

14.3. მხარე, რომელიც წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებების შეუსრულებლობის მიზეზად დაასახელებს ფორს-მაჟორულ გარემოების (დაუძლეველი ძალა), ვალდებულია მათი დადგომისთანავე აცნობოს მეორე მხარეს აღნიშნულის შესახებ დაადასტუროს მათი არსებობა შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების მიერ გაცემული დოკუმენტებით. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ფორს-მაჟორული გარემოების შესახებ გამოცხადებული იქნება სახელმწიფო ორგანოების მიერ საჯაროდ, საინფორმაციო და მასობრივ საშუალებებში.

მუხლი 15. ხელშეკრულების შეწყვეტა.

15.1 დაუშვებელია წინამდებარე ხელშეკრულების ვადამდე მოშლა ნებისმიერი მხარის მიერ ცალმხრივად, გარდა წინამდებარე ხელშეკრულებით უშუალოდ გათვალისწინებული შემთხვევებისა.
15.2 წინამდებარე ხელშეკრულება შესაძლებელია შეწყდეს დაუყოვნებლივ, კომპენსაციისა და საჯარიმო სანქციების დაკისრების გარეშე შემდეგ შემთხვევებში:
ა) იმ ვადის გასვლისთანავე რომელიც აღნიშნულია ხელშეკრულების 3.1. პუნქტში;
ბ) მხარეთა ურთიერთშეთანხმებით ნებისმიერ დროს;
15.3 წინამდებარე ხელშეკრულება ვადამდე შეიძლება შეწყდეს, 2 (ორი) თვის საიჯარო თანხის ოდენობის კომპენსაციის დაკისრებით, შემდეგ შემთხვევებში:
ა) თუ ხდება ქონების არამიზნობრივად გამოყენება;
ბ) მოიჯარის მხრიდან სახელშეკრულებო ვალდებულებების ბრალეულად მნიშნელოვნად დარღვევისას.
გ) ამ ხელშეკრულების 11.4 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში;
დ) მოიჯარის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების ცალმხრივად ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, მოიჯარემ კომპენსაციის სახით მეიჯარეს უნდა გადაუხადოს 2 (ორი) თვის საიჯარო თანხა.
15.4. მეიჯარე უფლებამოსილია ვადამდე შეწყვიტოს ხელშეკრულება მოიჯარისათვის 4 (ოთხი) თვით ადრე გაგზავნილი წერილობითი შეტყობინების საფუძველზე.

მუხლი 16.დასკვნითი დებულებები:

16.1. წინამდებარე ხელშეკრულება გაფორმებულია ორ ეგზემპლარად ქართულ ენაზე, ერთი ეგზემპლარი ინახება მეიჯარესთან, მეორე - მოიჯარესთან. ორივე ეგზემპლარს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა.
16.2. მხარეთა შორის წარმოქმნილი ყველა დავა მხარეთა მიერ გადაწყდება ურთიერთშეთანხმების გზით, თუ შეთანხმება ვერ მოხერხდა, დავა გადაწყდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, საერთო სასამართლოს მეშვეობით.
16.3. მხარეთა შორის წერილობითი შეთანხმების საფუძველზე ხელშეკრულებაში შეიძლება შეტანილ იქნას ცვლილებები და დამატებები.
16.4 საკითხები რომლებიც არ არის განსაზღრული წინამდებარე ხელშეკრულებით, წესრიგდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი მუხლების საფუძველზე.
16.5 მხარეებს უფლება არა აქვს ამ ხელშეკრულების დებულებები განმარტონ მეორე მხარის კანონიერი უფლებების და ინტერესების, საქართველოში დამკვიდრებული სამოქალაქო წესრიგის, ზნეობრივი პრინციპებისა და მოქმედი კანონმდებლობის საწინააღმდეგოდ.

მუხლი 17. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერა:

მეიჯარე:
შპს კაპიტალ ინვესტ გრუპ
დირექტორი:
ლევან ხეცურიანი
ხელმოწერა:

მოიჯარე:
შპს „ქომაგი“
დირექტორი:
ნანა ალავერდაშვილი
ხელმოწერა:

მიღება-ჩაბარების აქტი

ქ.თბილისი 01.09.2023წ.

ერთის მხრივ, შპს „კაპიტალ ინვესტ გრუპ“ (ს/კ 405206799) შემდგომში „მეიჯარე“, წარმოდგენილი მისი დირექტორის ლევან ხეცურიანის მიერ და მეორეს მხრივ, შპს „ქომაგი“ (ს/კ 418469348) შემდგომში „მოიჯარე“, წარმოდგენილი მისი დირექტორის ნანა ალავერდაშვილის (პ/ნ 59001053383) სახით, ვდებთ წინამდებარე მიღება-ჩაბარების აქტს შემდეგზე:

მხარეები ვაცხადებთ, რომ:

ა) აღნიშნული საიჯარო ქონება “უფლებრივად უნაკლოა“ რაშიც იგულისხმება, რომ მესამე პირს არ შეუძლია წაუყენოს მოთხოვნები მოიჯარეს დროებით სარგებლობაში გადაცემული, ხელშეკრულების 2.1 პუნქტით გათვალისწინებული ქონების მიმართ.

ბ) აღნიშნული საიჯარო ქონება “ნივთობრივად უნაკლოა“ რაშიც იგულისხმება, რომ მოიჯარის მხრიდან აღნიშნული უძრავი ქონება დათვალიერებული და შემოწმებული იქნა და მოიჯარე ადასტურებს, რომ იგი ვარგისია ჩვეულებრივი სარგებლობისათვის.

გ) მოიჯარის მიერ შემოწმებული იქნა ყველა ის ტექნიკური საშუალებები (გათბობის, გაგრილების, სავენტილაციო მოწყობილებები, წყლის, გაზისა და სხვა სისტემები) რომელიც დამონტაჟებულია საიჯარო ფართობში ან/და ემსახურება მის გამართულ მოხმარებას და ადასტურებს, რომ აღნიშნული საშულებები არის გამართულ და მუშა მდგომარეობაში.

მეიჯარე:
შპს კაპიტალ ინვესტ გრუპ
დირექტორი:
ლევან ხეცურიანი
ხელმოწერა:

მოიჯარე:
შპს „ქომაგი“
დირექტორი:
ნანა ალავერდაშვილი
ხელმოწერა: